ოქმი:**ო02. 3723108001**

თარიღი:**18/04/2023**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 18 აპრილი

ქ.ოზურგეთი

13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, ვლ. ხავთასი, დ. ჭაკნელიძე, გ. შილაკაძე, გ. სირაძე, ტ. არუშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძემ

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი